

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 41 101 590.76 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 31134681.48 ლარს, ხოლო დარჩენილი 9966909.28 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250000,00 ლარი და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოყოფილი ტრანსფერი – 2 335 759,00 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 4 615 626,00 ლარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი – 1 232 000,00 ლარი.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 8220702,83 ლარს, აქედან ეროვნულ ხაზინაში დაბრუნებული იქნა 17554,47 ლარი, მათ შორის 7622,47 ლარი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, 9932,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14,03, №420 განკარგულების ნაშთი(სოფ.იმირის სასმელის წყლის და სატუმბო სადგურის მშენებლობის სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია). დარჩენილი 8203148,36 ლარიდან 6669624,48 ლარი არის ადგილობრივი სახსრების ნაშთი, ხოლო 1 533 523,88 ლარი ტრანსფერის ნაშთი, მათ შორის: 100 129,00 ლარი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სასწრაფოს შენობის მშენებლობა), 30 991.41 ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფლის პროექტები), 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.შაუმიანის ხიდის მშენებლობა), 1 395 343 ლარი საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან (სოფ.სადახლოს, აღმამედლოს, კირაჩ-მულანლოს სასმელი წყალი, მდ.დებედას ნაპირსამაგრი და ძეგლი „კიდევაც დაიზრდებიან“ პროექტების ნაშთი).

რაც შეეხება 2019 წლის სამი თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები სამი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 8 312 937,30 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 5 170 015,96 ლარი, რაც გეგმის 60,7 %-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 8 412 937,30 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 5 118 937,46 ლარი, რაც გეგმის 60,8%-ია. 2019 წლის სამი თვის ფაქტიური შემოსავლები 35 %-ით მეტია 2018 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2019 წლის გადასახადების სამი თვის გეგმა არის – 4 282 450,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 2 844 249,21 ლარი რაც გეგმის 66,4%-ს შეადგენს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 578 159,40 ლარი– გეგმის

246,6 %-ი, კაპიტალური ტრანსფერი შემოვიდა 70 842,00 ლარი, რაც გეგმის 3,6%-ია. სხვა შემოსავლების 2019 წლის სამი თვის გეგმა იყო 1950067,50 ლარი, სამი თვის ფაქტმა შეადგინა 1625686,85 ლარი, რაც გეგმის 83,4 %-ია. არაფინანსური აქტივების კლება სამი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 100 000,00 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 51 078,50 ლარი, ანუ გეგმის 51,1 %.

რაც შეეხება 2019 წლის სამი თვის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 6341373,60 ლარს. აქედან ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 280433,37 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 153240,00 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 88465,37 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 38728,00 ლარი.
2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 1031921,52 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე– 642109,88 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 297232,74 ლარი, გრანტების მუხლით 45 000 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 10544,24 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 3035,00 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 33999,66 ლარი.
3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 24308.50 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული ხარჯების დასაფარავად. (დანართი №1 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 49539,00 ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 7197,00 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 45599,03 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 36300,00 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 9299,03 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 2697137,59 ლარი. აქედან:
 - 7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა–შენახვაზე სულ გახარჯულია 665953,82 ლარი.
 - 7.2 წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე გახარჯულია 584572,11 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 425359,50 ლარით, რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 510470,11 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში – 74102,00 ლარი, ხოლო 2019 წლის სამი თვის განმავლობაში შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს – 73897,80 ლარს.
 - 7.3 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების მოწყობაზე გახარჯულია 13567,00 ლარი.
 - 7.4 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო–ენერჯის ღირებულებაზე და მოვლა–შენახვაზე გახარჯულია 177895,61 ლარი, ქსელის რეაბილიტაციაზე 167385,95 ლარი, სულ 345281,56 ლარი.

- 7.5 მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 376071,98 ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 41855,50 ლარს,საკუთარი შემოსავლები – 2159,3 ლარი, ხოლო ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ სუბსიდირება – 324516,48 ლარს.
- 7.6 სასაფლაოებისა და სარიტუალო სახლების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე გახარჯულია 17331,40 ლარი.
- 7.7 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდის სახით 85243,25 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 94679,9 ლარს.
- 7.8 სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია 100000,00 ლარი.
- 8 საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 786659,28 ლარი, აქედან:
- 8.3 სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 610213,71 ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე გახარჯულია – 68381,74 ლარი.
- 8.4 ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 108063,83 ლარი, აქედან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის 21850,00 ლარი, ხოლო 86213,83 ლარი გახარჯულია მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით – დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.
- 9 სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2019 წლის სამ თვეში სულ გახარჯული იქნა 610843,63 ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდის სახით დაფინანსდა 363785,19 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 231135,44 ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 9523,00 ლარით.
- 10 კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე 2019 წლის სამ თვეში სულ გახარჯული იქნა 263602,70 ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 43168,75 ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 220433,95 ლარი.
- 11 რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე – 151817,59 ლარი.
- 12 2019 წლის სამ თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 41016,30 ლარი.
- 13 სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 375606,59 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 262254,09 ლარი,საიდანაც 14696,00 ლარი არის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით გახარჯულია 112352,50 ლარი, აქედან 9612,50 ლარი სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 1000,00 ლარი.